1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ესს) სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში.

PhD in Economics delivered by International School of Economics at Tbilisi State University (ISET, *www.iset.ge*).

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკონომიკის დოქტორი, PhD in Economics.

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ვილფრედ ჯ. ესიერი, ესს-ის აკადემიური დირექტორი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

a. პროგრამის აქტუალობა

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ამჟამად მიმდინარე რეფორმები განსაკუთრებული სიმძაფრით აყენებს უნივერსიტეტებში მაღალპროფესიული და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი კადრების მოზიდვის აუცილებლობას მათი სწავლებასა და კვლევაში ჩართვის მიზნით. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია სოციალურ მეცნიერებებში, სადაც რადიკალური ცვლილებები მოხდა საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ და მას შემდეგ გასული დრო საკმარისი არ აღმოჩნდა მეცნიერთა თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და პრაქტიკული თუ სამეცნიერო გამოცდილების მქონე ახალი თაობის აღსაზრდელად. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს ეკონომიკა და ეკონომიკური მეცნიერებები. ქვეყანაში უდაოდ არსებობს უზარმაზარი მოთხოვნა იმ ადამიანების არსებობაზე, რომლებიც იცნობენ და თავად ქმნიან ეკონომიკის თანამედროვე თეორიებს, აქვთ სწავლებისა და კვლევის უნარ-ჩვევები, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფუნდამენტური ეკონომიკის პრობლემატიკის განხილვა-ანალიზში. სწორედ ამგვარი სპეციალისტების ჩამოყალიბების ამოცანის გადაჭრაში წვლილის შეტანა არის შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის მთავარი დანიშნულება. პროგრამის მისიაა სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ეკონომიკის თეორიებისა და კვლევის მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნა თსუ ეკონომიკის საერთასორისო სკოლის ადგილობრივი და მოწვეული საერთაშორისო პროფესურის დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

ბ. პროგრამის მიზანი

- მაღალკვალიფიციური ეკონომისტების აღზრდა, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმართვა სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესების შესაბამისად;
- ეკონომიკის სწავლებისადმი ახალი მიდგომების ჩამოყალიბება და ეკონომიკური კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა სამხრეთ კავკასიის რეგიონში;
- ახალი, თანამედროვე ევროპულ-ამერიკული სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში;
- სამხრეთ კავკასიის რეგიონის ისეთი სტუდენტების სწავლება, რომლებიც ვერ ახერხებენ ან არ სურთ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება. მათ საშუალება ეძლევათ ადგილობრივად, რეგიონში, დაეუფლონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ცოდნას და მიიღონ დოქტორის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში.

გ. პროგრამის სავარაუდო საკვლევი პრობლემატიკა

ქვემოთ მოტანილია პროგრამის სავარაუდო საკვლევი პრობლემატიკა:

- მონეტარული პოლიტიკა, საბანკო სისტემები;
- საჯარო სექტორის ეკონომიკა;
- საერთაშორისო ვაჭრობა და რეგიონალური ინტეგრაცია;
- შრომითი რესურსების ეკონომიკა (ჯანდაცვის, მიგრაციისა და შრომითი ბაზრები);
- საწარმოო ორგანიზაციები და კონკურენციის პოლიტიკა;
- ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა.

დ. პროგრამის შედეგები

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს განუვითაროს ყველა ის კომპეტენცია, რომელიც შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს მიერ შემუშავებულ უმაღლესი განათლების კვალიფიკასიის ჩარჩოს ჩამონათვალთან. კერძოდ, ცოდნისა და გაცნობიერების კუთხით პროგრამა სტუდენტებში გამოიმუშავებს ეკონომიკის თეორიის ღრმა, სისტემურ და უახლეს ცოდნას, თანამედროვე კვლევის მეთოდების სრულად ფლობას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და ინოვაციური კვლევის წარმართვის უნარს, ახალი, რთული, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების უნარებს, მიღებული შედეგების სხვებისათვის გადაცემისა და სწავლების განვითარებულ უნარ-ჩვევებს.

უფრო კონკრეტულად, ეკონომიკაში სადოქტორო აკადემიური ხარისხი მიენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც:

- აქვთ ფუნდამენტური ცოდნა მიკრო და მაკროეკონომიკის, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის, ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიის, შრომის ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების შესახებ, შეუძლიათ ამ ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენება და პრობლემების გადაჭრა ორიგინალური გზით;
- შეუძლიათ მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებები ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფორმებსა და მეთოდებთან დაკავშირებით;
- აქვთ თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენების უნარი პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად;
- აქვთ საერთაშორისო გარემოში მუშაობის გამოცდილება, რადგან კურსდამთავრებულები მიიღებენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტუდენტებთან და ევროპელ/ამერიკელ პროფესორებთან ურთიერთობის გამოცდილებას;
- იციან ეკონომიკის მეცნიერებაში გამოყენებული თანამედროვე მეთოდები და მიდგომები და შეუძლიათ ახალი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- აქვთ პედაგოგიური უნარები.

ე. დასაქმების სფეროები

პროგრამა ხელს უწყობს ახალი აზროვნების ეკონომისტთა ახალი თაობის ჩამოყალიბებას. იგი ორიენტირებულია იმ ადამინებზე, რომლებსაც სურთ პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. კურსდამთავრებულები შეძლებენ თანამდებობების დაკავებას საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებებში, ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების უმაღლესი დონის თანამდებობებზე. ისინი წარმატებულნი იქნებიან ყველა იმ თანამდებობაზე, სადაც გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა ანალიზი, პროგნოზირება და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება.

5. სადოქტორო პროგრამაში მიღების წინაპირობები

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ანალოგიურია საუნივერსიტეტო წინაპირობებისა. კერძოდ, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს. მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი

სწავლების დიპლომი, ფლობდეს ინგლისურს არანაკლებ საშუალო დონეზე. დამატებით, ამ ზოგად წინაპირობებს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემატება ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები:

1. კანდიდატს უნდა ჰქონდეს ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი მინიჭებული თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ან სხვა ანალოგიური ინგლისურენოვანი პროგრამის მიერ. პოსტ-საბჭოთა გარემოში ამგვარ პროგრამებს მიეკუთვნება რუსეთის ახალი ეკონომიკური სკოლა, კიევის ეკონომიკის სკოლა. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ჩამოაყალიბებს მიმღებ კომისიას, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი პროგრამა ჩაითვლება ესს-ის ანალოგიურ სამაგისტრო პროგრამად (კურიკულუმებისა და სილაბუსების შედარების საფუძველზე). ესს-ის მიმღები კომისია ჩაატარებს წინასწარ მისაღებ გამოცდებს და რეკომენდაციას გაუწევს სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვის კანდიდატებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიმართ.
2. სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია მიღებულ იქნენ კანდიდატები, რომელთაც არ გააჩნიათ ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი ესს-დან ან მისი ანალოგიური პროგრამიდან. ასეთ შემთხვევაში კანდიდატების სია ისევ გადაეცემა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და საბჭოს საბოლოო დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ სტუდენტებს მოეთხოვებათ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის საგნების გავლა. საგანთა ჩამონათვალი შემდეგია: უმაღლესი ეკონომეტრიკა, უმაღლესი მაკროეკონომიკა, უმაღლესი მიკროეკონომიკა, მონეტარული ეკონომიკა, საერთაშორისო ფინანსები, ეკონომიკური ზრდის თეორია, ფინანსური ეკონომიკა, საჯარო ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა, თამაშთა თეორია, საწარმოო ორგანიზაციები, საერთაშორისო ვაჭრობა, ხარჯი-სარგებლის ანალიზი, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის ეკონომიკა. მხოლოდ ამ საგნების გავლის შემდეგ მიიღებიან სტუდენტები თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში.

6. სასწავლო კომპონენტი

დოქტორანტმა სწავლის და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. დოქტურანტურაში საწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, დანარჩენი 120 კრედიტი ეთმობა სადოქტორი დისერტაციას. სწავლების ენა ინგლისურია იმ საგნებში, რომელთა ადმინისტრირება ხდება ესს-ის მიერ.

პროგრამის სტრუქტურა შემდეგია:

1. **სასწავლო კომპონენტი (საგნები, რომლებიც სტუდენტმა უნდა გაიაროს დისერტაციაზე მუშაობის დაწყებამდე)**

დასახელება	**სტატუსი**	**კრედიტთა რაოდენობა**
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	სავალდებულო	5 კრედიტი
კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
დოქტორანტის I კოლოქვიუმი	სავალდებულო	5 კრედიტი
დოქტორანტის II კოლოქვიუმი	სავალდებულო	5 კრედიტი
დოქტორანტის III კოლოქვიუმი	სავალდებულო	5 კრედიტი
აკადემიური წერა	სავალდებულო	5 კრედიტი
თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში მოსმენილი სასწავლო კურსები (მათი ჩამონათვალი მოცემულია მე-6 თავის მე-2 პუნქტში)	სავალდებულო	10 კრედიტი

შენიშვნა: რაკი თსუ-ში მომზადებულია და უკვე შეეთავაზება სადოქტორო სტუდენტებს ლექციები სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და მეცნიერების მენეჯმენტში, ესს-ის სადოქტორო პროგრამა გამოიყენებს მოცემულ მომსახურებას.

2. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა

სადოქტორო დისერტაციის თემა და მეცნიერ-ხელმძღვანელი უნდა განისაზღვროს ესს-ის სადისერტაციო საბჭოს მიერ. მეცნიერ-ხელმძღვანელი უნდა იყოს ესს-ის პროფესორი. შესაძლებელია თსუ აკადემიური პერსონალის მიერ სადოქტორო დისერტაციის თანახელმძღვნელობა. ესს-ის სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო თემის სახელწოდებასა და ხელმძღვანელთა სახელებს წარუდგენს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დასრულებისა და ნაშრომის ხელმძღვანელთა ნებართვის შემდეგ სტუდენტმა უნდა გაიაროს წინასწარი დაცვა ესს-ის სადისერტაციო კომიტეტის წინაშე. წინასწარი დაცვა ითვლება წარმატებულად, თუკი დისერტანტი მიიღებს სადისერტაციო კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობას. ასეთ შემთხვევაში დისერტაცია წარედგინება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს საბოლოო დაცვისათვის. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტებს მიენიჭებათ ეკონომიკის დოქტორის ხარისხი.

7. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ესს-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს. შენობა სტუდენტებისათვის ღიაა მთელი დღის განმავლობაში. შენობაში არსებობს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი. ესს-ის ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამაგისტრო პროგრამის მიზნების შესაბამისი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურითა და პერიოდიკით, ელექტრონული რესურსებით. ხელმისაწვდომია ისეთი ელექტრონული ბიბლიოთეკები, როგორიცა: EconLit , JSTOR da EBSCO.. სტუდენტებს აქვთ საშუალება

გაეცნონ უახლეს ინფორმაციას ეკონომიკაში არსებული კვლევების შესახებ. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირის დღეებში 9:00-დან 21:30 საათამდე, შაბათ-კვირას 12:00-დან 18:00 საათამდე.
არსებული რესურსებიდან გამომდინარე ესს გამოთქვამს მზადყოფნას მთლიანობაში მიიღოს 5-7 დოქტორანტი.